სოფელ კისისხევის ტერიტორიაზე სარწყავი არხები წესრიგდება

24 ოქტომბერი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მოწესრიგების სამუშაოებს ატარებს.

სოფელ კისისხევის ტერიტორიაზე მცენარეებისა და ნატანი მასისგან მაგისტრალური არხის 2 კილომეტრიანი მონაკვეთი იწმინდება.

სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას შეუწყობს ხელს. შედეგად, თელავისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტების 10 სოფლის (კისისხევი, წნანდალი, ქვემო ხოდაშენი, ბუშეტი, ვანთა, აკურა, კახიფარი, კალაური, ვაჩნაძიანი და შაშიანი) დაახლოებით 500 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება.

სამუშაოები, რომელსაც კომპანია საკუთარი ძალებით ახორციელებს ნოემბრის ბოლოს დასრულდება.

0114, საქართველო, თბილისი, ვლადიმერ წითლანაძის I შესახვევი, N1. საინფორმაციო სამსახური: 2 001000 ელ-ფოსტა info@ag.ge WWW.AG.GE

სამუშაო შეხვედრა მსოფლიო ბანკის მისიის ჯგუფთან

26 ოქტომბერი

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა თამაზ მღებრიშვილმა მსოფლიო ბანკის მისიის ჯგუფთან შეხვედრა გამართა.

სამუშაო შეხვედრაზე „მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტის“ (GRAIL) ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები განიხილეს.

აღნიშნული პროექტი სახელმწიფოსა და მსოფლიო ბანკის თანამონაწილეობით განხორციელდება. პროექტი ექვსწლიანია და მისი ბიუჯეტი 150 მლნ დოლარს შეადგენს.

პროექტით გათვალისწინებულია აღმოსავლეთ საქართველოში 5 საირიგაციო, ხოლო დასავლეთ საქართველოში - ერთი სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაცია-მოდერნიზაცია, ასევე, შპს „საქართველოს მელიორაციის“ ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით, ინსტიტუციური რეფორმის განხორციელება.

სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციის შედეგად, 25 ათას ჰექტარზე მეტ მიწის ფართობზე საირიგაციო მომსახურება გაუმჯობესდება.

სარწყავი არხების აღდგენითი სამუშაოები გორის მუნიციპალიტეტში

27 ოქტომბერი

ქვეყნის მასშტაბით სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების ფარგლებში, შპს „საქართველოს მელიორაცია“ შიდა ქართლში, სალთვისის სარწყავი სისტემის მოწესრიგების სამუშაოებს ახორციელებს.

სოფელ ქვემო ხვითის ტერიტორიაზე ხე-ბუჩქნარისა და დანალექი გრუნტისგან პირველი და მეორე რიგის წყალგამანაწილებელი არხების 2,5 კილომეტრიანი მონაკვეთი იწმინდება.

ჩატარებული სამუშაოები არხის გამტარუნარიანობას გაზრდის.

შედეგად, სოფელ ქვემო ხვითის 200 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება

საირიგაციო სისტემაზე მიმდინარე სამუშაოები ნოემბრის ბოლოს დასრულდება.

0114, საქართველო, თბილისი, ვლადიმერ წითლანაძის I შესახვევი, N1. საინფორმაციო სამსახური: 2 001000 ელ-ფოსტა info@ag.ge WWW.AG.GE

ნაურდლის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

18 ნოემბერი

წყალუზრუნველყოფილი ფართობების გაზრდის მიზნით, საქართველოს მელიორაცია სამელიორაციო ინფრასტრუქტურულ პროექტებს მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს.

თელავის მუნიციპალიტეტში, ნაურდლის სარწყავი სისტემის I, II და III რიგის წყალგამანაწილებელი არხების რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სამუშაოების ფარგლებში მოეწყობა 15 კმ-მდე სიგრძის დახურული ქსელი და სხვადასხვა ტიპის ჰიდროტექნიკური ნაგებობა.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, წყალუზრუნველყოფილი გახდება სოფელ ფშაველის 480 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.

პროექტის ღირებულება 6,5 მლნ ლარია. სამუშაოები 2024 წლის მარტში დასრულდება.

სარწყავ სისტემაზე მიმდინარე სამუშაოები საქართველოს მელიორაციის გენერალურმა დირექტორმა, თამაზ მღებრიშვილმა დაათვალიერა და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

საქართველოს მელიორაციაში სტუდენტებმა სტაჟირება გაიარეს

30 ნოემბერი

შპს „საქართველოს მელიორაციაში“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის - აგროინჟინერია, ნიადაგის და წყლის სპეციალობა, სტუდენტებმა სტაჟირება გაიარეს.

ორი თვის განმავლობაში, სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ, კომპანიის რეგიონულ სერვისცენტრებსა და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ობიექტებზე მუშაობის სპეციფიკას გაცნობოდნენ.

სტაჟირების პროგრამა მიზნად ისახავდა სოფლის მეურნეობის დარგში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მომზადების მხარდაჭერას, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.

კომპანიაში გამართულ შეხვედრაზე სტუდენტებმა სტაჟირების შემაჯამებელი პრეზენტაცია წარმოადგინეს, რის შემდეგაც სერტიფიკატები გადაეცათ.

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სტუდენტებს მომავალშიც შესთავაზებს კომპანიაში სტაჟირების გავლას.